საყმაწვილო ჟურნალი მცირე წლოვანთათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

წელიწადი მე-III. № 12 ივნისი, 1907 წ.

ტფილისი
ელექტრონის სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობისა.
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„ნაკადული-“ს კანტორა

აცხადებს იმათ საყურადღებოთ, ვისაც ფული არ შემოუტანია, ჟურნალის გზავნა მოესპობათ თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს.

შინაარსი

I—გაუმაძღარი კატა.—დექსი თეოფ. კანდელაკისა . . . 3

II—მშიშარა ანიკო.—ცქვიტისა 5

III—ფული. -ე. კ -ანისა. 9

IV—არაფერი.—ბლატონ კაჩეიშვილისა 11

V—მოტყუება თარგმანი.—ს. რამანიშვილი—დგებუაძისა. 16

VI—გამოცანები.—რებუსები და აღსნა. 25

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაუმაძღარი კატა

(აზრი აღებულია)

ატუნია სარკმელზე ზის,
მწარედ დაღონებულია;
კნავის, ბორგავს, იკლაკნება,
სული უწუხს და გულია.

ცუგო მიდის, ეკითხება:
„რად ჩამოგტირს თავ-პირია!
უქეიფოდ ხომ არა ხარ,
გენაცვალე, რომ ტირია?!

— „ასე შენი მტერი გახდეს,
აღარ შეგრჩეს დუშმანია:
მუცელსა მგლეჯს, წელი მეწვის,
ლაბის მოვკვდე, ღმერთმანია!

— დალოცვილო, რა იყო, რა
არ გეჭამა მაგდენია!.
არ იქნება, მოიკლო და
არ აღორო მუცელია?!

„თაგვს არ ინდობ, ჩიტს, წიწილას,
სულ სვავ-მუცელს უგზავნია,
სიბრალულის გრძნობა არ გაქვს,
ეს ქცევაა უგვანია!

„რასაც-კი კლანჭს და კბილს გაჭერავ,
უნდა შენთქა იმ წამია!

საქართველოს სახელმწიფო
ბიბლიოთეკა
თბილისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავიწუდება, რომ შეჭამა
ხარბი შავმა მიწამაო!

ბევრჯელ მითქვამს შენთვის, ციცო:
ნუ გაიხდი ღმერთად მადას,
ჭამაშიაც საჭიროა,
რომ უყურო დროს და ვადას!

შენ-კი მაინც გაურჩევლად
ჭელაპავ და ჭნთქავ ხარბად ყველას!..
ახლა რომ მაგ შავ დღეში ხარ,
ვისგან ელი ხსნას და შველას!“

კატა სიმწრით ღნავის, ტოკავს:
„ვაი კუჭი!.. წელებიო!..
ვკვდები, ცუკო!. თავბრუ მესხმის...
მიბნელდება თვალებიო!“...

ამ დროს უცებ თვალი მოჭკრა
ჩიტს... ემგერა, როგორც მეხი...
სწრაფ გამოხრა ისიც კატამ
და გაფშიკა კიდეც ფეხი!.. **ფ. კანდელაკი**



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუიშარა ანიკო

ერა, გაგიგონიათ ამისთანა ამბავი! საშინელი ზარმაცი, მშიშარა და უველა ამ მშვენიერ ზნესთან დაუდგრომელი ცელქი და უთავბოლო გიჟმაჟი. დიაღ, სწორედ ასეთი ხასიათის ბავშვი იყო ჩვენი ანიკო, და მადლობა ღმერთს, ახლა-კი ცოტა ჭკუაზედ მოვიდა, რადგანაც ამ ხასიათის წყალობით დიდ ვაი ვაგლახს იტანდა. წარმოიდგინეთ, იმისი სიზარმაცე და დილის ძილი ისე იყო მთელ-უბანში განთქმული, რომ სახელის მაგივრად „ძილის გუდას“ ეძახდნენ. ისიც ისე შესჩვეოდა ამ სახელს, რომ ანიკოს დაძახებაზედ ისე არ მიაქცევდა უურადღებას, როგორც შორით მომავალი ანდორელი ოსი. დატანჯული მისი დედა სულ იმასა ნატრობდა, რომ ანიკო ჩქარა რვა წლისა გამხდარიყო, რადგანაც სკოლაში მიბარებას უპირებდა და, მისი აზრით, სწავლაში თავ ჩაკრული, უცხო მასწავლებელთან წინანდებურ სიცელქეს ვეღარ მოახერხებდა. მაგრამ იმას მგონი, ის უფრო უხაროდა, რომ დილიდგანშუადღემდინ, ანიკოს სკოლაში ეოფნის დროს, ბატარა მეუდროდ და მოსვენებით იქნებოდა. მეზობლები ხომ მოძულებულნი ჰყავდნენ, ისე უჭირებდა საწყლებს საქმეს. ხან ერთი მოვიდოდა მის დედასთან და შესჩივლებდა—ბავშვს მიცემა და წუმპეში ჩურჩხელასაებ ამომივლოვო; მეორე იმასა ტირიდა—ჩემი ერთგული ეარაული „თოლია“ ვეებერთელა ქვით დამიკოჭლაო; მესამე იმას ჯავრობდა—რომ ერთი ძირი ალუბლის გულისათვის ღობეები აღარ შემარჩინაო... უნ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გენახათ მაშინ ჭარხალივით აწითლებულ ანიკოს ტუჩები-ფიცი და თავის მართლება. გაგიხარიან, მაშინ ჩვენ ცელქს ზორბადაცა ჰხვდებოდა; ჯავრობა თავისთვის იყვეს,—ხან სადილს არ აჭმევდნენ, ხან კარედ გამოაგდებდნენ; ჩაი ხომ კვირაში სამჯერაც არ ერგებოდა და იყო საწყალი ასეთ გაჭირვებაში და ვაი ვაგლახში. მაგრამ ერთი ანდაზისა არ იყოს, ის ისევ ის თოვა იყო და ისევ ის ტყავი ესხა.

განა თუ დაუგდებდა დარიგებას ყურს და ჭკვიანურად მოიხმენდა რჩევას, შენ არ მოძიკვდე, აიოანშიაც არ მოსდიოდა მათი ლაპარაკი. მხოლოდ, რომ ჩქარა დაენებებინათ მისთვის თავი, ხელით ყელს გაუწევდა და შეჰფიცავდა: „ოღონდ ეხლა მაპატიეთ და ღმერთი გამიწყრეს, თუ კვლავ ეგრე მოვიქცეო“. ან როდესაც მოსწყინდებოდა მათი გაუთავებელი დარიგება, ერთი გიქივით შემოპრწიალდებოდა და ისეთს დაუშტვენდა, რომ დაერუებულნი თვითონვე თავს ანებებდნ.ნ და ჩვენ ცელქსაც ეს უნდოდა: გამორბოდა გარედ ხარხარი და ერთ წამში მისი ახრდილიც აღარსად სჩანდა. „მგლის თავზედ სახარებას კითხულობდნენ და ის-კი ტეისაკენ იცქირებოდაო,“ —იტეოდა ხოლმე მისი დაღონებული დედა და გატრიალდებოდა.

მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ხანდახან ანიკო ჭკვიანი და დარბაისელი ბრძანდებოდა და მაშინ უნდა გენახათ მისი დედის სიხარული და გაშტერება. ეს სიტკარი მოვლინება მაშინ იყო, როდესაც საღამოობით შეკრებ ლი ტოლ-ამხანაგნი ზღაპრებს უამბობდნენ ერთმანეთს. მეტადრე თუ ზღაპრებში ეშმაკებზედ და ქაჯებზედ იყო ლაპარაკი; მაშინ ანიკოსათვის თავშიც რომ გეცემათ, კრინტსაც ვერ ამოაღებინებდით. იყო გარინდებული და გულმოდგინედ ისმენდა ღრჯოლიან და დაღრეჯილ ეშმაკების ამბავს. „გულში-კი შიშით ცახცახებდა და, ჩუმად აქეთ-იქით იხედებოდა, რომ ეშმაკები არსაიდგან მოსჩვენებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განვლო ერთმა წელმა და მოვიდა ანიკოს სკოლაში ძიბა-რების დრო.

პირველად ანიკო ძალიან უცხოობდა უცნობ ტოლ-ამხა-საგებს და ორიოდე დღე, აბუზული წიწილასავით გაპრუნჩული არა-ვის არ ეკარებოდა. მაგრამ ამ გვარმა დარბაისლობამ მოკლე ხანი გასტანა; შემდეგ-კი შეჩვევისათანავე აქაც ძალე გამო-იჩინა თავისი დაუუენებელი ხასიათი. იქ იმას უჩხვლიტინებ-და, აქ ენას გამოუუობდა და საშინლად დაელრიჯებოდა, ხხვას რვეულს წაართმევდა და დარბოდა მთელ კლასში, თან უკან პატრონ-ჩხავილით მისდევდა და მისძახოდა,—გეეოფა, რეტია-ნო, ძილის გუდა, მომეცი რვეული, თორემ მასწავლებელი შენიშვნას მომცემს, რომ არ დავწეროო! დაბეზღებითაც ხში-რად აბეზღებდნენ, მაგრამ რა გამოვიდა; სანამ მასწავლებელი შენიშვნას და დარიგებს მისცემდა, სანამ ჭკვიანი იყო; გატ-რიალდებოდა თუ არა, ახლა დამბეზღებელს მიუბრუნდებოდა დამბრჭალული სახით და თითით მუქარას ანიშნებდა.

მასწავლებლის კეთილი მაგალითი მაინც უფრო და უფრო ძალას იჩენდა ანიკოზედ და ისიც ეოველ ღო-ნისძიებას ხმარობდა, რომ სკოლაში მაინც კარგად მოქცეუ-ლიყო. მასწავლებელი მართლაც მეტად კეთილი კაცი იყო და ბავშვებიც გულჩვილად ეველა უყვარდა. სულ იმის ფიქრ-ში იყო, რომ მისი პატარა ცელქები კარგად მოქცეულიეკნენ და სამაგალითოდაც ესწავლათ. თვითონაც არას ჭზოგავდა მა-თთვის. სწავლის შემდეგ პატარ-პატარა საუკეთესო მოთხრო-ბებს უკითხავდა და ამ გვარად აღვიძებდა მათ პატარა განუ-ვითარებელ ჭკუა-გონებას.

ერთხელ ჩვეულებისამებრ მასწავლებელი ზოგიერთა შე-გირდების თხოვნით „ალის“ წაკითხვას დაჭვირდა იმ შემ-თხვევაში თუ გაკვეთილებს კარგად მოამზადებდნენ და ცუდი ქცევით არ გააჯავრებდნენ. ბავშვები სისარულით დაბრუნდნენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სკოლიდგან და ეველა გულ მოდგინედ მეცადინეობდა, რომ. თავისი ჰირობა კეთილად შეესრულებინათ. ანიკოს სადღაც გაეგონა ამ მოთხრობისა ცოტაოდენი იცოდა, რომ გაწეწილ ალზედ იყო ლაპარაკი და სულ იმის ფიქრში და ოცნებაში გაატარა მთელი დღე. მეორე დილას მისმა დედამ ჩვეულებისამებრ რის ვაი ვაგლახით გააღვიძა, ეშინოდა, სკოლაში არ დაჰგვიანებოდა; ანიკო თითონ ეხვეწებოდა,—ადრე გამაღვიძე, რომ მასწავლებელი ჩემი დაგვიანებით არ გავაჯავროვო. ანიკომ თვალები გაახილა, მაგრამ ისე ეძინებოდა, რომ ერთი წუთის ძილი მისთვის მთელ სიცოცხლეს უღრიდა. ბოლოს მაინც თავს დასძლია: სულ ერთი იყო დედა არ მოასვენებდა, რომ არ ამდგარიყო. კვლავინდებურად ან წყალს დაასხავდა, ან ჯერ საბანს ასჭდიდა, მერე ბალიშს გამოაცლიდა, შემდეგ მუთაქას და ბოლოს ლეიბიდგან ხმელ ტახტზედ გადმოაგორებდა კიტრივით.

ცქვიტი

(გაგრძელება იქნება)

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფული

(სომხურით)

იდი სანი არ არის, რაც რიფსიკას ფეხი მოსტეხდა; ეს იმ დროს მოხდა, როდესაც ის თავის დედი-დის სახლიდან შინ მირბოდა და ჩავარდა სწრაფ მიმავალ ეტლ ქვეშ. მამა ბევრს ეცადა, მრავალ მკურნალს მიჰმართა, მაგრამ მის ფეხს არა ეშველა-რა-ფეხი მოსჭრეს საწყალს. დედა დარდისგან ავად გახდა და გადაიცვალა, რიფსიკა-კი ამ ჟამად ჯოხით დადის.

აგერ კალთაში უზის მამას და ეთამაშება მის თეთრ თმას. მამა სელს უსვამს თავზედ და ჰკოცნის.

— მამილო, ღამით ისე დიდი სანი რადა ზისარ? სულ სწერ და სწერ? მითხარ, მამილოჯან, მაგდენს რადა წვალობ?

— მაშ რითი ვიცხოვრო, ჩემო ძვირფასო? ფულისთვის...

— ფული რის გამოსადეგია, მამილო? ერთი ნაჭერი ქაღალდია, ან ერთი ჰაწაწა ოქრო, სხვა ხომ არაფერია.

— ო, ო, ჩემო მტრედო! ფული ერთი ნაჭერი ქაღალდია, ანუ ერთი ჰაწაწა ოქრო, მაგრამ, რაც გინდა, იყიდი: ფული ი სათამაშოს იყიდი, ხილს, მშვენიერ კაბას, სამკაულს. რა გინდა, რომ ხვალ გიყიდო? ფულით ყოველიფერი შეიძლება.

რიფსიკა თვალებით ერთ წერტილს დააშტერდა, დაფიქრდა, და ბოლოს სთქვა:

— შენ მითხარ, მამილო, ფულით ყოველიფერი შეიძლებაო; ასე არ არის?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიაღ, ოოველიფერი, რასაც-კი მოისურვებ.

— თუ აგრეა, მამილო, მაგ ფულით მომიყვანე ჩემი ჰატარა და, შარშან, რომ დამარხეს. მომიყვანე, ძრიელ მინდა ჩვენი ანიკოს ნახვა. როგორ იცინოდა, გენაცვალე, როგორ მხიარულად ვიყავით ერთად! მითხარ, მამილო, მოიყვან ანიკოს, მოიყვან?

მამა არ ელოდა ამ თხოვნას. მოაგონდა თავისი ჰატარა ანიკო, დაღონდა და აღელვებული ხმით ჰკუბასუხა:

— არა, გენაცვალე, აქ ოქრო ვერას გვიშველის. სხვა რამ თხოვე—ტიკინი, წიგნი, რაც შენს გულს ჰსურდეს.

რიფსიკაც დაღონდა, რადგანაც ძ.ლიან უნდოდა, ანიკოსთან ეთამაშნა.

— დედა ჩემს, ჩემ საყვარელ დედას, იმასაც ვერ მომიყვან? სიზმარში ვხედავ ოოველდამ. მამილო, მინდა, კიდევ ჩაგეკრა, მაგრა ჩავეკრა გულში.

— ოჰ, ჩემო თვალის ჩინო, შეუძლებელს თხოულობ.

ამ დროს რიფსიკამ თავისი მოტეხილი ფეხი გაუწოდა და უთხრა:

— რაკი აგრეა, მიეიდე ერთი ახალი ფეხი. საშინელია უფეხობა... მიეიდე, მამილო, ერთი ახალი ფეხი, მიეიდე: მე მინდა ორი ფეხით ვირბინო, მინდა ვისტუნო, მინდა ვითამაშო ამხანაგებთან; მიეიდე მამილო, მიეიდე, ერთი ახალი ფეხი.

და მოეხვია მამას, თავი მიაკრა მის ლოყას და განუწყვეტლივ იმეორებდა:

— მიეიდე, მამილო, მიეიდე ერთი ახალი ფეხი.

რიფსიკამ იგრძნო, როგორ ძრიელ უცემდა მამას გული, და თვალებში შეჰხედა.

მამის თვალებში სხვილი ცრემლი ბრწეინავდა.

— ტირი, მამილო—დაიძახა რიფსიკამ და გაიგო, რომ ქვეყანაზედ ისეთი რამაც ეოფილა, რომლის ყიდვა ფულით არ შეიძლება.

ყ. კ—იანისა.

(დასასრული. იხ. № 9 *))

ბიბარა მეფემ ემაწვილი და უბრძანა:—ბოლიცია კ. დეგ სამი წლის ვადა, წადი და „არაფერი“ მოძიტანე. თუ ამას არ ამისრულებ, შენი ქალი მე უნდა დამრჩესო.

დაფიქრდა დიდად ემაწვილი, მივიდა ქალთან და ხელმწიფის ნათქვამი უამბო.

— აკი გეუბნებოდი, ღმერთმა უარესისაგან დაგიხსნას-მეთქი; მაგრამ, რა გაეწყობა, ესეც არაფერია, ფიქრი ნუ გაქვს, მაგას ამა-ჩემის მეტი ვერავინ იშოვნისო, უთხრა ქალმა, წაიძრო თითიდან ბეჭედი, წამოაცვა ემაწვილს, გადადგა ტბის პირს და დაიძახა: დედა, დედა მზესა, მამა, მამა მზესა, მანდ რომ შავი რაში გეავს, გამოგზავნე დღესა“. რაში იმ წამსვე იქ გაჩნდა; შესვა ქალმა ვაჟი რაშზე, გაამგზავრა და უთხრა: „გზაზე მდევის ქალს შეგხვდები, რომელსაც ძუძუები ზურგზე ჰკიდია. დაინახო თუ არა, გააჭენე ცხენი, მოასწარ, ძუძუზე უკბინე და უთხარ: „შენ დედა და მე შვილი-თქო“. გასწია ემაწვილმა, ცოტა იარა, თუ ბევრი, შეგხვდა მდევის ქალს, გააჭენა ცხენი, უკბინა ძუძუზედ და მიაძახა: „შენ დედა და მე შვილიო.“

— აჰ, რა ლუკმა იყავი, შვილო, მაგრამ რაღა გაეწყობა! შესძახა მდევის ქალმა, მიიხედ-მოიხედა, ერთი მელა დანახა

*) სხვა და სხვა მიზეზების გამო იძულებული ვიყავთ ზღაპარი „არაფერი“ ცოტა ხნით შეგვეჩერებინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და უთხრა:—წაიყვანე ეს ემაწვილი და ამა და ამ კაცის ბინა ასწავლეო.

მელამ წაიყვანა ემაწვილი და ერთ სახლთან მიიყვანა. დაინახეს თუ არა ემაწვილი, სიხარულით შესძახეს:

— ოჰ, ს ძე გვესტუმრა, სიძეო! მიიპატიჟეს სახლში, პატივი სცეს და ბოლოს ჰკითხეს: რისთვის მოსულხარო?

ემაწვილი მოუყვა თავის თავგადასავალს: ასე და ასეა ჩემი საქმე და, თუ ვერ ვუშოვე „არაფერი“, ქალს წამართმევენო.

სიმამრმა უთხრა: „ფიქრი ნუ გაქვს, შვილო, ქალს მე ის-კი არა, ვერავინაც ვერ წამართმევსო. დაუძახა მთელს თავის საბრძანებელში ფრინველებს და ჭიებს და ჰკითხა: „მითხარით, ვინ იცით, რა არის არაფერიო? ყველამ ხმა გაკმინდეს და გაკვირვებით ერთმანეთს ცქერა დაუწყეს. სამჯერ შეეკითხა, მაგრამ ვერავინ პასუხი ვერ უთხრა. ამ დროს მოვიდა ერთი გომბიო და დაიწყო საშინელი ყეყინი: „ეს რა მბავია, რომ ამოდენი ხალხი შეგიურიათო!„ ჰკითხეს გომბიოს, იქნება შენ იცოდე, რა არის არაფერიო?—არაფერიც ვიცი და ყველაფერიცაო,—მიუგო გომბიომ: ამისთვის რად აწუხებდით ამდენ ხალხს, რა დიდი საქმე ეგ არისო.

შესვეს ემაწვილი რაშზე და გააყოლეს გომბიოს. იარეს, იარეს, ბევრი თუ ცოტა, მივიდნენ ერთ ზღვის პირას. გომბიომ ისკუპა და წყალში გადახტა; უცადა, უცადა ემაწვილმა, გომბიო აღარ გამოჩნდა. ბოლოს გაიხედ-გამოიხედა და ერთი ქოხი დაინახა. მოჭსადა რაშს უნაგირი, გაუშვა ბალახზე, თითონ ქოხში შევიდა და ტახტის ქვეშ დაწვა. გავიდა ცოტა ხანი: ქოხში ორი ემაწვილი შევიდა და ტაბლას შემოუსხდნენ, ტაბლაზე არაფერი არ იყო. დაიძახეს ემაწვილებმა: „არაფერო!“

— ბატონო, მისცა ვიღაცამ ხმა.

— აბა, ერთი საუზმე მოგვიტანეო.

გაჩნდა იმ წამსვე ჩინებული საუზმე თავისი მოწყობილობით. ისაუზმეს გულიანად ემაწვილებმა და დაიძახეს:—არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფერო, აალაგეო. აალაგა ყველაფერი ვიღაცამ და ეშაფვილები სანადირო წავიდნენ.

გაკვირდა ვეზირის შვილი ამ სანახაობით, გამოძვრა ტახტქვეშიდან და სთქვა:—აბა, ახლა მეცა ვცდი და დავუმახვებ, გამიგონებს ვინმე, თუ არაო? დაუმახა:—არაფერო, ხელ-ჰირი დამაბანინეო.

მაშინვე მოერთვა წელი და დააბანინეს ჰირი.

მერე დაიმახა:—არაფერო, რაში შემიკმაზეო.

იმ წამსვე მოერთვა შეკმაზული რაში; შეჯდა და გასწია. კარგა გზა გაიარა, მოჭშივდა და დაიმახა:

—არაფერო, სუფრა გაშალეო! გაჩნდა ხელად ჩინებული სადილი ოველივე ჭურჭლეულობით; მიუჯდა ეშაფვილი და გულიანად ისადილა. ნასადილევს ერთი მგზავრი დაინახა, დაუმახა და სუფრაზე მიიწვია. მგზავრმა მიიხედ მოიხედა, ვერაფერი საჭმელი ვერ დაინახა და უთხრა: შენ რომ არა გაქვს რა, მე რაზედ მჰატიჟობო?!

—ფიქრი ნუ გაქვს, ყველაფერს გიშოვნიო, უთხრა ეშაფვილმა და დაუმახა:—არაფერო, სასმელ-საჭმელი მოგვართვიო. იმ წამსვე მოერთვა მგზავრს საჭმელ-სასმელი.

გაუკვირდა მგზავრს, ამოიღო ჯიბიდან კოლოფი და უთხრა ეშაფვილს:—„ამ კოლოფს მოგცემ და შენი არაფერი მე მომეციო.

—მაგ კოლოფს რა შეუძლიაო, ჰკითხა ეშაფვილმა.

—ამ კოლოფს რომ თავს ახდი, ჯარი გაჩნდება და შეგიძლია მთელს სამეფოს ეომოვო, უთხრა მგზავრმა.

—ძალიან კარგი, გამიცვლიაო, უთხრა ეშაფვილმა, კოლოფი ჯიბეში ჩაიდო და მგზავრი დაარიგა: საღამომდი იარე, რომ შებინდდეს, დაიმახე და,რაც გნებავს ყველაფერი მოგერთმევაო.

მგზავრმა იარა საღამომდე, დაუმახა არაფერს მაგრამ... ვინ

ეროვნული ბიბლიოთეკა

უგდო ეური?! ამასობაში ვეზირის შვილს თავს წაადგა მეორე მგზავრი და ისიც მიიწვია საუზმეზე.

მგზავრმა გაკვირვებით ჰკითხა:—ბიძია, შენ რომ არა გაქვს რა, მე რა უნდა მაჭამოვო?

—შენ მაგისი ფიქრი ნუ გაქვსო, და დაუძახა არაფერს. მოერთვათ იმ წამსვე საუცხოვო სადილი და სტუმარმა ეელ-მოიღერა.

გაუკვირდა მგზავრს და ჰკითხა:—ეს რა ამბავია, რომ კაცს ვერ ვხედავ და საჭმელი-კი მოდ სო?

—მე უმაგისოდ ცხოვრება არ შეძიძლიაო, მიუგო ემაწვილმა.

—მოდი, ამ ჯოხში გამიცვალეო.

—მაგ ჯოხს რა შეუძლია?

—ეს ჯოხი თუ გაქვს, ახლო ვერავინ მოგეკარება!

—ძალიან კარგი, გავცვალოთ. გამოართვა ჯოხი ემაწვილმა და უთხრა:—საღამომდე იარე, ბინდისას დაუძახე არაფერს და ეველაფერი მოგერთმევაო. იარა მგზავრმა საღამომდე, უძახა, უძახა არაფერს, მაგრამ ეველაფერი-კი არა, არაფერიც არ მიერთვა.

მივიდა ემაწვილი სასახლის კოშკში და სამი წელიწადიც გათავდა. მგზავრობით მოღალულ-მოქანცული ემაწვილი დაწვა და გულიანად დაიძინა.

გათენდა დილა, მეფემ ვეზირი დაიბარა და უბრძანა: ვადა გათავდა, ის ემაწვილი ჯერაც არ დაბრუნებულა, წადი ქალი მომიეგანე, რომ ჩემს შვილს შეეგრთოვო.

წავიდა ჰირველი ვეზირი, მიადგა კოშკის კარებს, მაგრამ ვიღამაც შემოუტია:—ნუ მოხვალ, ბატონსა სძინავსო. ეური არ უგდო ვეზირმა და კოშკში შესვლა დაუჰირა. ამ დროს ჯოხი გამოუვარდა და ურტეა და ურტეა თავ-ჰირში. გამობრუნდა ვეზირი თავ გატეხილი და ეოველივე დაწვრილებით მოა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხსენა. მეფემ მეორე ვეზირი გაჰგზავნა, მაგრამ იმასაც ის დღე დაადგა: ისიც თავსისხლიანი გამობრუნდა და იგივე მოახსენა მეფეს. გაჰგზავნა მეფემ მესამე ვეზირი, მაგრამ იმას უარესი დღე დაადგა და თავზე კოპებ დამჯდარი წარსდგა მეფის წინ ხელცარიელი; მეოთხედ თვითონ მეფე წავიდა კოშკში დამუქრებული, მივიდა კარებთან და ხმა შემოესმა: „ნუ მოხვალ, ბატონს სძინავსო!..

— როგორ მიბედავთ?! ჩემზედ დიდი ბატონი ვინ არის აქაო?! შეჰვევირა მეფემ და კარებში შესვლა დაუპირა, უცებ გამოვარდა თავკომბალა ჯოხი და ერთი, თუ ორი!, სამი, თუ ოთხი! ურტყა და ურტყა მეფეს. იკადრა მეფემ და გამობრუნდა ხელცარიელი.

მეორე-მესამე დღეს ემაწვილმა მიიპატიჟა მეფე სადილად მთელი თავისი საბრძანებელით. გაუკვირდა ხელმწიფეს: ჩემი საბრძანებლის სადილი საიდან ექნება ამ ქაჯსა და ქასქანჯიელსაო? დათუმცა ცოტა უქეიფოდ ბრძანდებოდა თავის ტკივილით, მაგრამ მაინც ეწვია. შეიკრიფა დანიშნულ დროს მთელი სახელმწიფო, გაიხედ-გამოიხედეს.. არსად საქმადისი, არსად არაფერი. უეურეს დიდ ხანს, უეურეს და ბოლოს გამოაცხადეს, დროა სადილობისაო.

— ბატონი ბრძანდებით, ამ საათშიო! მოახსენა ვეზირის შვილმა და დაუძახა თავის უჩინო მსახურს: არაფეროო, სუფრა გაშალეო. გაჩნდა იმ წამსვე სამეფო სუფრა და სასმელ-საჭმელი. გაიმართა სმეულობა, ლხინი ისეთი, რომ რაღა გითხრათ! უკვირს ხალხს, უკვირს ხელმწიფეს ასეთი სასწაული. გაჯავრდა დიდად მეფე, ან მე უნდა ვიყო, ან ეს ეაზილარიო!

მეორე დღეს მეფემ შეუთვალა ემაწვილს, მე და შენ უნდა ვიბრძოლოთო.

— მზად გახლავარ, დიდებულო მეფევ, თუ გნებავს მთელი შენი ჯარი გამოიყვანეო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამითი უფრო გაჯავრდა მეფე და გამოვიდა თავისი ჯარით. გახსნა ეშაფვილმა კოლოფი და გამოვიდა აუარებელი ჯარი. მაგრამ ჯარი რაღა საჭირო იყო: დატრიალდა ჯოხი და ხელმწიფის ჯარს მუსრი გაავლო. ვისაც მოჰხვდებოდა, ფეხზე ვეღარ დგებოდა.

დამორჩილდა ბოლოს ხელმწიფე და უბრძანა:—შენ ეოფილხარ, შვილო, სახელმწიფო კაცი და იხელმწიფეო.

ვეხირის შვილმა უარი უთხრა და ტახტზე თავისი ძმა, ხელმწიფის შვილი დასვა.

პლატონ კაჩეიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოტყუება

(თარგმანი)

ხალამო იყო. მამა-შვილი იყვნენ დუქანში.

— მე წავალ, ხვალისთვის ვიყიდი რახმე. ვინმლო, კარგად იყაჭრო, უთხრა მამამ. ჩაიცვა კიდეც, რომ მიხაკომ შეაყენა:

— მამილო!

— რა გინდა?

— ხვალ ხომ ნინიკოს დღეობა არის! მინდა საჩუქრად სათამაშო რამ ვუყიდო და ფული მომეცი.

— ისეც ბევრი სათამაშოები აქვს.

— მამილო, დღეობაში ყოველთვის საჩუქრით მიულოცავენ.

— კარგი... აჭა...

— და ორი თითო შაურიანი მისცა.

— მადლობელი გახლავარ! უთხრა მიხაკომ, თუმცა სახეზე უკმაყოფილება გამოეხატა.

მამა გავიდა.

„ეს ორი შაური“, ფიქრობს მიხაკო; შინაც ერთი კაპეიკი მაქვს... რას ვიყიდი თერთმეტ კაპეიკად? ორთქლმავალი თავის ვაგონებით მანეთი ღირს... ჯარის კაცები, ორი აბაზი... სკუპ-სკუპა ექვსი შაური. რა უნდა ვიყიდო ამ ორი შაურით და ერთი კაპეიკით?

მოწყენილი იყო დუქანი, მუშტარი არავინ შემოდიოდა. შორიდან ხარების ხმა მოისმოდა; საღამოს ლოცვა ჯერ არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოსულიყო, სანათი სუსტად ანათებდა. მოწყენით გამოიეურებოდა კედლებზე ჩამოკიდული გასასყიდი საქონელი: ჭურჭელი, ნალები, რაზა—კოჭაკი, მავიული და სხვა.... ეველა ეს დიდი ხანია მობეზრებული ჰქონდა მიხაკოს და ამიტომ ეჩქარებოდა დუქნის დაკეტვას და შინ წასვლას. ახლა ცოტა ფეხებიც დაეეინა: ჩექმები გაცვეთილი ჰქონდა და შინიდან რომ მოდიოდა, წეალი შეუვიდა შიგ.

ჩქარა მაინც მოვიდეს მამაჩემი, ფიქრობდა მიხაკო. ცოტა კიდევ ვთხოვო ფული? არ მომცემს. იქნება არცოკი აქვს. მდიდარი რომ იეოს, მანეთს ან ორს მომცემდა. ეოველთვის მომცემდა ფულს ხილისთვის და სათამაშოებისთვის.

მიხაკო ფიქრმა გაიტაცა: როგორ იშოვოს იმოდენი ფული, რომ თავის მამა გაამდიდროს?

უცბად დუქნის კარი გაიღო და შემოვიდა შავგვრემანი, გამხდარი და მაღალი ტანის, ძველ ფარაჯაში გახვეული კაცი. მიხაკო ფეხზე წამოხტა.

— რა გნებავთ?

— ლურსმანი ჩექმისათვის... რაც შეიძლება წვრილი....

— რკინისა თუ ხისა?

— რკინისა.

— რამდენი გნებავთ?

— სამი გირვანქა.

მიხაკომ მარდად გაშალა სასწორზედ ქაღალდი და ზედ ლურსმანი დაჰეარა. მუშტარი ამ დროს კედლებზე გამოფენილ საქონელს ათვალიერებდა.

ლურსმანი სამ გირვანქაზე ნაკლები იეო. მიხაკოს უნდოდა მიემატებინა, მაგრამ უცბად ერთმა აზრმა გაურბინა თავში: „არა უშავს-რა!. ვერას შეატეობს. ესეც ხომ ფულია. ვიდრე მეიდველი მოიხედავდა, საჩქაროდ გაახვია ლურსმანი ქაღალდში, კოხტად გადაუჭირა კანაფი, გაუკეთა ხელში დასაჭერი ეულფი და დაუძახა:

— ინებეთ, მზად გახლავთ.

მეიდველმა გადისადა ფული და გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„რა კარგია“ ფიქრობდა მიხაკო: „სამი გირვანქის მა-გივრად, ორ გირვანქა ნახევარი მივეცი. ის ვერცხლი შეა-ტუობს, ჩვენთვისაკი სარგებლობაა... ასე რომ ვივაჭროთ, მო-გება თანდათან იმატებს და ჩქარაც გავმდიდრდებით. მამა-ჩემი მაშინ ხშირათ მაჩუქებს ხილისთვის ფულს. საჩუქარსაც ვუყიდდი ნინიკოს... რა კარგი იქნება“!

დადიოდა დაზვის წინ და სიამოვნებით ხელებს იფშვნეტ-და. მოუთმენლად მოელოდა კიდევ მუშტარს.

ამ დროს მამაც შემოვიდა. თან ბლომად ნავაჭრი შემო-იტანა.

— ძრიელ დავიღალე. ძლივს მოვიტანე ამოდენი ნავაჭრი.

— რეები გიყიდნია?

— რა ვიცი, რა არ არის?.. ფქვილი, ხვალ დედამ ქადე-ბი გამოგვიცხოს, ქიშმიში, მეხვი, ლიმონი, ჩაისთვის ნამცხვა-რი... ხვალ უქმეა, გემრიელად შევექცეთ... ნინიკოსაც ახალი ქუდი ვუყიდე საჩუქრად... ბევრი გალოდინე, მოგწყინდებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა··. ერთი მუშტარი კიდეც გავიტუმრე.

— რა მიჰყიდე?

— სამი გირვანქა ჩექმის ლურსმანი.

მიხაკომ არაფერი უთხრა იმის შესახებ, თუ როგორ მოატეუა მუშტარი. იცოდა, რომ მამა არ მოუწონებდა.

— ბური ხომ არა გშიან?

— ბური კი არა და ე ფეხებიკი ცოტა დამეეინა. დღეს დამისველდა.

— მართლა კინალამ სულ გადამავიწყდა, ჩექმები აღარ გივარგა. ახლები უნდა შეგიკერვინო... მოდი, ეხლავ შევიარეთ მეჩექმესთან, ახლო დგას. კარგებსაც ჰკერავს და იაფადაც. ერთი წელიწადია იმის შეკერილ ჩექმებს ვატარებ და ისევ ახლებია.. სანათი ჩააქრე, ახლაკი დროა...

—

ქუჩები გაჩაღებული და სიცოცხლით სავსე იყო, ფანჯრებიდანაც უხვად გამოდიოდა სინათლე. თოვლს ბჭეკრიალი გაჰქონდა. მარხილები მხიარულად დასრიალებდნენ. ხალხი ბევრი დადიოდა და თითქმის ეკელას ნავაჭრი მიჰქონდა თავის სახლში, ხვალინდელ დღისთვის. ხორაგეულის დუქნებში დიდი ვაჭრობა იყო.

ცოტა გაიარეს და შეუხვიეს ერთ ბნელ, ვიწრო ქუჩაში. აქ აღარ იყო ის მოძრაობა; აღარც სადმე სავაჭრო დუქნები, აღარც გამვლელი ხალხი.

— მგონი აქ უნდ იდგეს,— სთქვა მამამ და შედგა.— შესასვლელი კარი ეზოდანა აქვს, დაბლა უნდა ჩავიდეთ, სარდაფში.

შევიდნენ ეზოში და ბნელაში ძლივს იპოვნეს ერთი ძველი დანჯღრეული კარი, რომელზედაც დახატული იყო უშველებელი ჩექმა.

— ფრთხილად, ძირს არის კარი, გაფრთხილა მამამ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბნელაში ძლივს მიაგნეს კიბეს. სველმა, გალიპულმა საფეხურებმა ჭრიალი მორთეს.

— მაბილო, მეშინიან, დავეცემი.

მამამ ხმა მაღლა შესძახა:

— ჰეი, სანთელი გამოიტანეთ!

იმავ წუთს კარი გაიღო და მკრთალ სანთლის შუქზე გამოჩნდა შავგვრემანი, ჭუჭეიან ჰერანგის ამარა, კაცი. გამეურულ ხელებში მაღლა აწეული ჰატარა სანათი ეჭირა და ეპატიჟებოდა:

— მობრძანდით, მობრძანდით!

მიხაკომ მაშინვე იცნო თავის მუშტარი, ლურსმანი რომ მიჰქიდა. კიბეს რომ ჩაახწიეს, შევიდნენ ერთ ჰატარა, დაბალ-ჭერიან ოთახში. მეჩექმემ სანათით წინ შეასწრო შესვლა, საჩქაროდ გადმოჰყარა ძველ საკარძლებიდან კალაპოტები, ტეკვის ნაჭრები, ლურსმები და მიიპატიჟა.

— ჩემი ბიჭისთვის მინდა ჩექმები შემოგიკვეთოთ, ხომ აიღეთ!

— ამ წუთს, აბა მარჯვენა ფეხზე წაღა გაიხადეთ. მეჩექმე შეუდგა თავის საქმეს. მიხაკო ამ დროს ოთახს ათვალიერებდა. ოთახი ცივი, ბნელი, და ჭუჭეიანი იყო. საშინელი სუნი იდგა ნესტისა და ტეკვისა. იატაკზე, მაგიდაზე, საკარძლებზე —ყველგან ძველი ფეხსაცმელი ეყარა, ტეკვები, ქუსლები ჩაქუჩები, კალაპოტები, წებო.... ბეჩექმის მეტი, კაცი არავინ ჩანდა, თუმცა ფარდის უკანიდან ვიღაცის კვნესის ხმა მოისმოდა, რაღაც ფათური და ფარდაც ოდნავ ინძრეოდა. მიხაკო კარგა ხანს უცქერდა ამ ფარდას და ბოლოს ძლივს შეჭნიშნა, რომ ფარდის გახეულ ალაკიდან ბავშვის შავი თვალი გამოიყურებოდა.

— ბავშვები გყოლიათ? ჰკითხა მიხაკომ.

— მყავს: ოთხი წლის გოგო და ორ წლინახევრის ბიჭი. წვანან ფარდის უკან ლოგინში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ძრიელ ცივა თქვენსა, უთხრა მიხაკოს მამამ.

— ცივა, მაძრა არის! შეშა მეკრიბა და ცეცხლს დღე ვერ ვანთებთ. გაეხვევიან ხოლმე ბავშვები საბანში და მთელი დღე ასე ლოგინში სხედან.

— ოთახიც ნამიანი არის, ეტყობა.

— მეტი რა გზა მაქვს? მეექვსე წელიწადია ამ სარდაფში ვცხოვრობ; მე არა მიჭირს რა, ცოლი და შვილები მეცოდებიან.—ლამის ბიჭი დამიკუტდეს.

— თქვენი მეუღლე სადღა არის?

— მანდავ, საწოლში. ავად არის, ეს მეორე თვეა წევს. ქარები აქვს და როგორღაც ცუდად ახველებს.

— ექიმი არ მოგიყვანიათ?

— როგორ არა. იყო ერთხელ. ექიმმა, დიდი და ნათელი ბინა არის საჭირო, ყოველ დღე ხორცი და რძეთ... მერე საიდან?... მარტოხელი ვმუშაობ. რაც ცოლი ავად გაბმულა, ყველა საქმე მე დამატყდა. ბავშვებიც, ავადმყოფის მოვლაც... სარეცხის რეცხვაცკი მე მჭირდება... სამუშაოდ რომ შემომელიოს, რა მეშველება? ქუჩაში სამათხოვროდ ვერ გავლენ ბავშვები, ტანზე ჩასაცმელი არა აქვთ რა....

მეჩექმემ მიჰხედა ფარდას და ჩუმი ჩურჩულით დაუმატა:

— მარიამს რომ აუტყდეს რამე... რა ვუყო ჰაწია ბავშვებს?. რა წყალში ჩავარდე?..

მეჩექმე გაჩუმდა, რომ ცრემლები არ ეჩვენებინა. მიხაკოს მაშინვე მოაგონდა, როგორ მოატეუა საწყალი კაცი, რომ ფულები ეშოვნა სათამაშოებისთვის და ხილისთვის.

„როგორ გავასწორო ჩემი დანაშაული? ფიქრობდა მიხაკო. რა ვქნა?“ ჯიბეში იპოვა ორი შაურიანი, ამოიღო და ჩუმად დააწყო სავარძელზე, თავის გვერდით.

მეჩექმემ აიღო ზომა, მამა დაეჩქარა შინ წასვლას, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩქარა გასულიყო ამ ბნელ და ცივ ოთახიდან. მეჩექმემ სანათი ხელში გააცილა ქუჩის კარამდის.

„თუ ვინცობაა, მამაჩემმა მომკითხა ორი შაური, ვეტევი, დამეკარგა მეთქი, მორჩა და გათავდა, ფიქრობდა მიხაკო. ის იყო მიიხწიეს კიდეც ქუჩის შესახვევს, მოესმათ უკანიდან ძახილი:

— ბატონო! ბატონო! შედექით ჰატარა ხანს!

მიხაკომ მოიხედა. მეჩექმე მორბოდა უქუდოდ, მხრებზედ ფარაჯა წამოსხმული.

— მადლობა ღმერთს, რომ დაგეწიეთ,—თან სირბილისაგან სულს ძლივს იბრუნებდა:—ფული დაგეკარგათ.... ჩემ სარდაფში—აი, ინებეთ!

და გაუწოდა ორი თითო შაურიანი.

— მე არაფერი დამიკარგავს,— სთქვა მამამ და შეჭხედა შვილს.

— არც მე დამიკარგავს, უპასუხა მიხაკომ.

— არა, როგორ შეიძლება?. როგორ არა...იმეორებდა მეჩექმე.

და ფულს მიხაკოს აჩეჩებდა. მიხაკო არ ართმევდა. ბოლოს მამამ გამოიევანა ამ უხერხულ მდგომარეობიდან:—მართლა, იქნება თქვენთვის ეხლა უფრო საჭიროა ფული. ეხლა მოგცემთ და მერმე ვიანგარიშებთ, როცა სამუშაოს გაათავებთ.

ამოიღო ქისიდან ქაღალდის ფული და გადასცა მეჩექმეს.

— ეგ შაურიანებიც—უთხრა მიხაკომ.

-- გმადლობთ! ბუტბუტებდა საწყალი ხელოსანი. ეხლა-კი ვუეიდი ჩემ ცოლს წამალს. იქნება ეშველოს რამე. იქნება მორჩეს...—მიხაკო და მამა საჩქაროდ გამოეთხოვნენ. ეტეობა, ჰატიოსანი კაცი არის ეს მეჩექმე, ამბობდა მამა. კარგადაც მუშაობს. უნდა როგორმე ვუშველოთ, რომ გაჭირება თავი დაახწიოს... —სამუშაოს ვუშოვი სადმე ქარხნიდან...

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მერე, მეც ჰატიოსანი კაცი ვარ?“ ფიქრობდა მიხე